

M301r
m198r

რომელმან წყლისა მოაბადნი რიტორთა მძლე-ჰყვენ ყოველთა,
ენაუტყვ მეტყუელ-ჰყავ ანგელოზთა მთავრისა მიერ,
აწცა განმარტე ენა ბრგუნელი ისტორიათა და აზმათა
მეტყუელებასა შინა შარავანდედთასა!

ვინათგან მოსე, მხილველი ღმრთისა და წინასწარმეცნი ყოფადთა, ეურჩა განმგზავნსა 5
ისრაელთადმი, მათდა მოძლები ენამძიმობისა,¹ მიერიდა უძღურსა; ვითარ ყოფადთა დამსახნი
ვითარ ესევეთარისა შემკადრე ვიქმნა ვერმეტყვ თქმათა აღმატებულებისათა? უკუეთუ იგი,
სიტყუათა ცეცხლისათა გარდანაცი, კუერთხისა გუელადობით² და კელის ფერთა ქცეულებით³
მბრძოლთა ვერას ამცნობდა, ვითარ დავსცე სულამიტისა⁴ სახედ აღსაყვრსა «ქებასა ქებათასა»,
რომელსა-იგი გალობს სიბრძნითა მეიგავე სოლომონ, რომლისაგან შთამოთესლოვნებისა ვერ- 10
საკმო არს შემსხმელად ულუმპიანობათა მათ გარდაცემისა, თამარისსა ვიტყვ, კელმწიფეთა
სახელისა და დიდებისა დავით მის პირველისა, არსთა დამწყისაცა კელითქმულებით
მოქადულმყოფელისა ღმრთისა, რომელი სახუვეველთაგან აღმსჭუალავს შორის სულსა,
გულსა შინა, ერთმთავრობა-ერთუფლებასა ერთისა კაცისასა, ერთისა ღმრთისა და კაცისა
სრულისა მიერ სრულ კაცად აღმოჩენით აღმოჩენილსა და ამობრწყინებულსა. ვინაცა 15

1 მძლე-ჰყვენ კარტ.] სძლე Mm, მძლე ჰყავ ჯავ, ყაუხნ., მძლედ გამოაჩინე კეკ., მძლეჰყავ კიკვ ყოველთა] – კიკვ
(ავტორისეული მძლეჰყავ გადასახულია და სხვა ხელით აწერია: სძლენ ყოველთა). 2 ენა უტყუ Mm. მიერ კეკ.,
ყაუხნ.] – Mm. 3 განამარტე m, განმმარტე ჯავ. ენა-ბრგუნელი ყაუხნ. ესტორთა M, ესტრთა m. აზმათა m.
4 შარავანდედთასა Mm. 5 განმგზავნასა M, განმგზავნასა m. 6 ისრაელთადმი კეკ., ყაუხნ.] ისრაელთადმე Mm, ძეთა
ისრაელთადმე ჯავ. ენამძიმობისა ყაუხნ.] ენა-მძიმობისა კეკ. მიერიდა კიკვ.] მიერულა Mm, ყაუხნ., მიეცა ძალი
კეკ. უძღურსა კეკ.] Mm, ურულოსა ყაუხნ. ვითარ Mm, ყაუხნ.] – კეკ. დამსახნი Mm, კეკ.] დამსახსა ჯავ, ყაუხნ.
7 ესევეთარისა კეკ., ყაუხნ.] ვითარებისა Mm. შემკადრე m. ვიქმნა] + მე თყ, კეკ., ყაუხნ. ვერმეტყვ თყ, კეკ.,
ყაუხნ.] მერმეტყუი Mm, ვერ ვეტყვ ჯავ. აღმატებულებისათა ჯავ, კეკ. 8 კუერთხისა კეკ., ყაუხნ.] და კუერთხითა
Mm. ფერთ-ქცეულებითა კეკ. 9 მბრძოლთა ვერას ამცნობდა კეკ., ყაუხნ.] ბრძოლობითა ვერ მცდომთა (მცოდნთა
m) Mm. ვითარ ჯავ, ყაუხნ.] – Mm, კეკ. სულამიტისა კეკ., ყაუხნ.] სულაპინისა Mm, სოლომონისა თყ, ჯავ.
საყვრსა კეკ. «ქებაჲ ქებათაჲ» კეკ. -იგი ყაუხნ.] იგივე Mm, იგი კეკ. 10 გალობს ყაუხნ.] ჰგალობს კეკ., უიგო Mm,
უიგავო ჯავ. მეიგავე კეკ., ყაუხნ.] მიეგავე Mm, მიეგავა თყ. სოლომონს თყ. რომლისაგან] რომელი მისგან კეკ.
შთამოთესლოვნებისა ყაუხნ.] ბათმოთესლოვნებისა Mm, შთამოთესლოვნებულისა კეკ. 10-11 ვერსაკმო კიკვ.] ვერ-საკმო
ყაუხნ., ვერას კმო Mm, ვერ საკმო კეკ., ვერას კმა თყ, ვერარას კმა ჯავ. არს ჯავ, კეკ.] 11 არსა m, თყ, ყაუხნ.,
არასა M. შემსხმელად] + და კეკ. ულუმპიანობითა Mm. მათ Mm, ყაუხნ.]. მით ჯავ, მისთა კეკ. გარდაცემასა Mm,
ყაუხნ.] გარდამოცემად კეკ. თამარისასა Mm, თამარისას კიკვ, თამარსა კეკ. 12 სახელისა ჯავ, ყაუხნ.] სახლისა
Mm, სახელსა კეკ. დიდებასა კეკ. დავითისა კეკ. პირველისასა ჯავ. დამწყისაცა m. არსთა დამწყისაცა] არსთ-
დამწყისა ღმრთისა კეკ. კელითა ქმულებითა Mm, კელთ-ქმულებით კეკ. 13 მოქადულ მყოფელსა Mm, მოქადულ-
მყოფელისასა კეკ. ღმრთისა] – კეკ. სახუვეველთაგან Mm, სახედველთაგან კეკ. აღმსჭუალავს ყაუხნ.] აღმსჭუალავს
Mm, აღსჭუალავს კეკ. 14 ერთმთავრობასა და ერთუფლებასა კეკ. ერთუფლება Mm. კაცისასა კეკ., ყაუხნ.] კაცისა
M, კაცისა კაცისა m. 15 აღმოჩენით m, ყაუხნ.] აღმოჩენითა M, – კეკ. ვინცა m.

¹ გამოსლ. 4,10. ² გამოსლ. 4,2-3. ³ გამოსლ. 4,6-7. ⁴ ქებ. 7,1.

ისტორიანი და აზმანი შარავანდეღანი

M301v ამაწ შეაყო თუსისა სულისა წყარო ხედვათ პირველსა ამაწ წყაროსა – ქრისტესა, ნათელსა მამისასა, რომელმან მოიგონნა ხუთნი საგრძნონი: ხედვა, სმენა, შეხება, გემოს-ხილვა და განრჩევა. და დაამორჩილნა კლდესა მას, ქრისტესა, ასფოდელოდ-ქმნითა გონებისათა, არა-არს მექმნი ნებისა თუსისა.

ესე შვილ იქმნა მშობელთა ძირ-რტოებითა შესატყვისთა და შეზავებულთა, ვითარ 5
საცნაურ არს ხე ნაყოფისაგან და ნაყოფი ხისაგან, დავითიანთაგან და ხუასროიანთაგან. და პანკრატონიანთა სახელი უფროს მზისა იცნობებოდა და ყოვლისა ქუშისა და მის მინადებისა, m198v რომელმან ნებროთისა ჰასაკითა მოიგო ჰაოსის ძეთა სამთავრები, რომელთა შემსხმელად კამს ომიროს, რაბამ-იგი იდიდსიტყუა ალექსანდრესადმი პლუტარხოს ზემომადლეელი ისტორიათა მწერლობასა შინა კელმწიფეთა შემსხმელობისასა, ვითარ ჟამთა და ჟამთა 10
გარდმოზენებითა აღმონათლებიან ქუეყანის მფლობელნი, და მიიღებს თუთუელი საქმისა შესატყვისსა აღმკულებასა სიტყვითა და საქმითა, და ვინმე საგმობნი აღძველნა ბოროტთა საქმეთა შინა!

აწ მე, რომელი გინა თუ მიხილავს, გინა თუ ბრძენთა და გონიერთა კაცთაგან მასმინ, გარდავსცე ისტორიასა და ვასილოღრაფსა, რომელ არს «მითხრობა მეფეთა». ვინათგან ლუკა 15
აღმავლობასა სიტყვასა იქმს – «სეითისა, ადამისა და ღმრთისა»,¹ მეცა ესრეთ ვიწყო ამის თამარისა, სამეზის სანატრელისა და სამებისაგან ოთხად თანააღზავებულისა, რომელი ეთეროან იქმნა კელმწიფეთა შორის, რომლისა სახე და სახელი თუსსა ადგილსა სიტყუამან საცნაურ ყოს.

1 ხედვათა m. პირველს m. 2 ხედავა m. გემოს-ხილვა და თაყ, კეკ., ყაუხჩ.] გემოს ხილვად Mm. 3 დაამორჩილნა M. კლდეს m. ასფოდელოდ-ქმნითა კეკ., ყაუხჩ.] ასპოლად ქმნითა Mm. 3-4 არა არს ყაუხჩ. 4 მექმნა Mm. თუსსა M. 5 ძირ-რტოებითა კარტ.] ძირ რტოებათ Mm, ძირ-რტოებათ Mm, ყაუხჩ*., კეკვ, ძირ-რტოებიანთა კეკ. შესატყვისათა Mm. 6 დავითიანთაგან m, თაყ, ყაუხჩ.] და ვითანიანთაგან M, დავითიანთა კეკ. ხუასროიანთაგან M, ხუასროიანთა კეკ. 6-7 ხუასროიანთაგან. და პანკრატონიანთა სახელი კეკვ] ხუასროიანთაგან (ხუასროიანთა კეკ.) და პანკრატონიანთა, რომელთა სახელი კეკ., ყაუხჩ. 7 მის მინადებისა Mm, ყაუხჩ.] მისგან დინდების კეკ. 8 ჰაოს Mm. სამთავრები ყაუხჩ.] სამთუარები M, სამთავრები m, სამთავროები თაყ, კეკ. რომლისა შესხმაჲ კეკ. 9 კ~მსა M, კამასა m. ომიროს თაყ, ყაუხჩ.] ომი როსა Mm, ჰომიროსისა მიერ კეკ. რაბამ-იგი კეკვ] რაბამ იგი კეკ., მერაბამე იგი (იგ M) Mm, ყაუხჩ. იდიდსიტყუა ყაუხჩ.] იდიდა სიტყუა Mm, ადიდა სიტყუაჲ კეკ. ომიროს, რაბამ-იგი იდიდსიტყუა კეკვ] ჰომიროსისა მიერ. რაბამ იგი ადიდა სიტყუაჲ კეკ., ომიროს მერაბამე იგი. იდიდსიტყუა ყაუხჩ. ალექსანდრისადმი M, ალექსანდრისადმი m. პლუტარხოს თაყ, კეკ., ყაუხჩ.] პალოტარხოს Mm. ზემომამლეელი ყაუხჩ., ზემომამლეელმან კეკ. 10 ისტორიითა Mm. შემასხმელობისასა M, შემასხმელობისასა? კეკ. 11 გარდმოზენებითა Mm] ზეგარდმოზინებითა ჯავ., კეკ., ზეგარდმო ღინებითა ყაუხჩ. ქუეყნის m. თ~ითუელი M, თითუელი m. შესატყვისსა ჯავ., კეკ.] შესატყვისებასა Mm, ყაუხჩ. 12 აღმკულხებასა m, აღმკულებასა (თვიდან ყოფილა აღმკულხებასა) M. ვინამე M. საგმობანი m. შინა! კეკ.] შინა. ყაუხჩ. 13 გინა თუ მიხილავს] – m. 14 ისტორიასა და ვასილოღრაფსა, რომელ კეკ., ყაუხჩ.] ისტორიასად ვასალო ლარაფსა (ვასალო ლარაფსა m) ძალ Mm. მითხრობაჲ კეკ. მეფეთ m. ლუკა კეკ., ყაუხჩ.] ლუკა (თვიდან ყოფილა ლუკუა) m, ლაკუა M, გლუკა ჯავ. 15 აღმავლობასა m. სიტყვასა ჯავ., კეკ., ყაუხჩ.] სიტყუა Mm. იქმს კეკ., ყაუხჩ.] – Mm, იწყობს ჯავ. მეც m. 16 თანააღზავებულისა კეკ., ყაუხჩ.] თანა აღზავებისა Mm. ეთეროვან კეკ. 17 თუსსა ადგილსა ჯავ., კეკ., ყაუხჩ.] თუისისა ადგილისა Mm. სიტყუამან საცნაურ ყოს ჯავ., ყაუხჩ.] – Mm, გამოჩნდეს კეკ.

* შდრ. ყაუხჩ. (ლექს., გვ. 621): „ძირ-რტოები („ძირი და რტოები“)“

¹ ლუკა 3,38.

ისტორიანი და აზმანი შარავანდეღანი

მამა იქმნა გიორგი, მეფე მეფეთა, ძე დიმიტრი მეფისა, რომელსა დავითცა ესუა ძედ, ძესა დავითიანისასა, და აღმოსავლეთისა და კერძო-ჩრდილოეთისა მეციხოვნისა და ზღვართა დამდებლისა და ზღვთ ზღუამდი მპყრობელისა, რომლისა დიდებითა, სიმკნითა და გუარითა ცხორებასა აღმოაჩინეს იოვანე ფილასოფოსისა ჭიმჭიმელისა შესხმა-მითხრობა.

დომიტრისა, მქნესა კლამათ შინა და მძლესა ბრძოლასა შინა, ორ ძე ებადა, რომელთა სახელი 5
– დავით და გიორგი. მარჩვეელი ძისა უმცროსისა მლარწველ-მკიცხველი იქმნა, ვითარ ისაკი იაკობისადმი. და ვედრებისა შემასმენელმან ღმერთმან დავითი დღეთა შემცირებითა სრულ-ყო პირველ მამისა. და მამამან ძითურთ ძე ტკბილი, შემგუარი მამისა, აღამალა თავისა თანა და ძისა სწორად მოსაყდრედ გამოაჩინა – მზე მნათობთა შორის, ალექსანდრე და ქაიხოსრო მპყრობელთა შორის, აქილევ, სამბსონ და ნებროთ გმირთა შორის, სპანდიარ, 10
m199r თაჰამთა და სიანოშ გოლიათთა შორის, სოლომონ, სოკრატ და პლატონ ბრძენთა შორის.

ამას თვსსა მეფობასა შინა მოჰგუარა ცოლი მამამან, ასული მეფისა ზუდდანისი, სახელით 15
M302v ბურდუხან, ესე თვთ ვითარი შესატყვისი ქმრისა პირმზისა, ტან-ლომისა, თვთ მზე მზეთა შუენებითა და მომფენაობითაცა, ვითარ ითქმის, ცოდვილთა და მართალთა ზედა, რომელი ჰყუარობდა მართალთა და სწყალობდა ბრალეულთა. რომლისათვის თუ ვთქუა სახეები გარეშეთა, 15
გინათუ ვიეთმე სატრფიალოთა, თვთ მისისავე ქრისტეშემოსილობისაგან მაქუს შიში და Q119r კდმა, რომელი ეკატერინესა და პენელოპისა, | ირინე ქმნილსა, და თვთ მარიამს, განმანათლებელსა ცისა და ქუეყანისასა, ესახების, თვნიერ ქმრისა მყოფლობისა, მადლითა, სიბრძნითა, შეწვევითა და მეოხებითა. ნუუკუე ზეშთა განზიდვითა დამრუმდეს თუალი გონებისა და ვიმთხრებლე ნეშთობად წყენა სახეობითა, რომელ უმარჯულო და უმარცხლო მავალი გზებისა გზისასა 20
მაბრალედეს გარდაქცეულებასა ესევითარსა.

1 მამად მისდა კეკ. გიორგი] გ ~ ი თყ., იგი Mm. 2 დავითიანსა კეკ. აღმოსავლეთსა Mm. 3 დამდებლისა კეკ. ზღვთ კარტ.] ზღუათა Mm, ყაუხჩ., ზღუათაგან კეკ. ზღუამდინისა Mm. მპყრობელისა კეკ., ყაუხჩ.] – Mm. 4 ცხორებასა] ცხორებისათა M, ცხოვრებისათა m, ცხოვრებასა კეკ., ყაუხჩ. ფილასოფოსისა Mm, -მოთხრობაჲ კეკ. 5 ორ(ორი კეკ.) ძე ებადა კეკ., კარტ.] ორ ძეობადესა (ძეობდესა m) Mm, ორ ძე ებადესა (ებადეს კიკვ) ყაუხჩ., კიკვ. სახელით კარტ.] რათა Mm, რომელთა კეკ., ყაუხჩ., კიკვ. 6 გიორგი] + მოაქუნდა სახელი კეკ., + ეწოდებოდა სახელად ყაუხჩ., + ერქუა სახელი კიკვ. მირჩეული m. მლარწველ-მკიცხველი კიკვ.] მლარწველი მკიცხველი Mm, ყაუხჩ., მლარწველ და მკიცხველ კეკ. ისაკი კეკ. 7 იაკობისადმი ყაუხჩ. შემსმენელმან კეკ. დავითის Mm, ყაუხჩ. 8 მამისა კეკ., ყაუხჩ.] მამებისა Mm. თავის m. 9 მოსაყდრედ გამოაჩინა Mm, ყაუხჩ.] მოსაყდრედ (მოსაყდრედ კიკვ.) ყო და გამოაჩინა კეკ., კიკვ. გამოაჩინა – მზე ყაუხჩ.] გამოაჩინა – ვითარცა მზე კეკ., გამოაჩინა ვითარცა მზე კიკვ. ნათობთა Mm. 10 საბსონ Mm.* 11 სპანდიარ, თაჰამთა ყაუხჩ.] სპანდიატთა ჰამათ M, სპანდიერთა ჰამათ m. თაჰამთა ჯაჲ, თაჰამთან კეკ. 12 ამას თვსსა კეკ., ყაუხჩ.] ამისთვს Mm, ამას თვს თყ. მოგუარა Mm, ყაუხჩ. ზუდდანისა m. 13 ესე თვთ ვითარი] თვთ ესევითარი კეკ. ქრმისა Mm, კეკ. პირ-მზისა. ტან-ლომისა კეკ., ყაუხჩ. მზე-მზეთა კეკ., ყაუხჩ. 14 მომფენაობითაცა კეკ. ითქმის V, ყაუხჩ.] ლიქომისა Mm, ითქუმის კეკ. 15 წყალობდა M. ბრალეულთა Mm. ვსთქუა m. სახები Mm. 16 ვიეთმე V, ყაუხჩ.] ვიეთითმე Mm, ვიეთითმე კეკ. მისისავე კეკ.] მისავე Mm, ყაუხჩ. მაქუ Mm. 17 პენელოპის ყაუხჩ.] პელენოს M, პლენოს m, პენელოპიას კეკ. ირინე კეკ., ყაუხჩ., Q] – Mm. ქმნილსა კეკ.] ქმნილისა MQm, ყაუხჩ. მარიამს, განმანათლებელსა კეკ.] მარიამ განმანათლებელისა MQm, ყაუხჩ. 18 ქუეყანისასა კეკ.] ქუეყანისა MQm, ყაუხჩ. ქრმისა კეკ. სიბრძნით Mm. 19 ვიმთხრობ ~ ლე Q. 20 ნეშთობად MQm] ნეშთად კეკ., ყაუხჩ. სწყენა MQm. რომელი MQm. უმარჯულო m. უმარცხლო კარტ.] უმარცხლო MQ, უმარცხლო m, უმარცხულო კეკ., ყაუხჩ., კიკვ. მრავალი m. გზებსა კეკ. გზისა კეკ. 21 გ ~ რდაქცეულობ ~ სა Q. ესევითარსა კეკ., ყაუხჩ.] ესე თათისა MQm.

* «შორის აქილევ – გმირთა» m-ში მერეა ჩამატებული (ყაუხჩ.).

ისტორიანი და აზმანი შარავანდეღანი

აწ ვიწყო ძალისაებრ და ღონემიწლომისა ესე. შვილისა ნათელშემოსილისა მამა იგი გორგასლიანი, აღმასრულებელი ვახტანგისა ნეტარებათა, რომელი დავითის მამადობათა შინა ღმრთისა ქენებით აღთქმულსა «აღდგინებად ტომთაგან მისთა»¹ მისებრ მპყრობელი აღმოსავლეთისა, და ვითარ ამისთჳსცა ესევითარად დაღექსავს მღექსავი ვინმე და იტყვს:

შენ ვახტანგის სანატრელ ხარ, შენთჳს ღმრთისა მქენებრისა,
ცნამცა შენი მტერთა ძღვევა, თჳთონ მზებერ მშუენებრისა,
მუსლუმანთა ამწყუედლისა, ქრისტიანთა მშენებრისა.

5

M303r

და ვინ დაგბადა, მასვე ნებავეს დაბადება შენებრისა.

m199v

ამან რა იპყრა შარავანდედი მეფობისა, შუდ სამეფოდ განწესებული, | აღმკულმან ზენათა პორფირითა და გურგუნითა, აღიჭურნა მკლავნიცა მუსრვად და მოწყუედად წინააღმდეგომთა ქრისტეს სჯულისათა: აგარიანთა, ისმაიტელთა და მამადიანთა*. | პირველად წყალობისა მიმფენმან იმერთა და ამერთა, ზემოთა და ქუემოთა, დიდებულთა და აზნაურთა, სპასალართა და სპასპეტთა, შინაურთა და გარეთა, კელ-ყო შეყრად და გამართებად ქალაქსა ზედა კალძევანსა და წარმოტყუენა ყოველი კვენები კლდოვანი და ქალაქები აშორნისა, სომენთა მეფედ წოდებულისა შაჰერმენისა.

10

m201r

და შემდგომად ამისსა კუალად შემყრელმან სპათა მისთამან მიმართა დიდად ქალაქად და სახელგანთქმულად, და აწ რომელ არს არარატისა ძირსა ზღვარი სომხითისა და ადარბედაჯანისა, მამული თრდატ გოლიათისა, რომელი ოდესმე ღორ იქმნა მიზეზითა გრიგოლ პართისათა.

15

1 ვიწყო] + ქებად, კეკ. ძალეგრ MQm. ღონემიწლომისა კიკვ.] უღონო მიწლომისა MQm, ღონე-მიწლომისა, კეკ., ღონე-მიწლომისა ყაუხჩ. ესე] – კეკ. იგი] გიორგი კეკ. 2 ნეტარებითა MQm. დავითს MQm, ყაუხჩ. დავითის და, კეკ. მამადობითა MQm. 3 ქენებად MQm. აღთქმასა MQm. ქენებით აღთქმულსა ყაუხჩ.] ქენებითა, აღთქმულსა კეკ. მისებრივ Q. 4 აღმოსავლეთისა] + და დასავლეთისა V, კეკ., ყაუხჩ. და ვითარ MQm] – ყაუხჩ., მიემთხუია კეკ. ესევითარად თყ., კეკ., ყაუხჩ.] ესე ვლარად MQm. მღექსე m. 5 ვახტანგის Q, ონ.] ვახტანგი M, ვახტანგ m, კეკ., ყაუხჩ. სანატრელ ონ.] ნატრელი Q, სანატრელი Mm, კეკ., ყაუხჩ. ღმრთისა Mm, ონ.] ღმრთის კეკ., ყაუხჩ. 6 თჳთონ კეკ., ონ.] თჳთ MQm, ყაუხჩ. მზებერ Q. მშუენებრისა ონ.] მშუებარისა M, კეკ., მშუღზრისა Q, მაშუებარისა m, ყაუხჩ. 7 მუსლუმანთა Q, ონ.] მუსლუმანთ Mm, კეკ., ყაუხჩ. ამწყუედლისა Q, ონ.] ამწყუედლისა Mm, კეკ., ყაუხჩ. ქრისტიანთა M, ქნთა Q. მშენებრისა ონ.] მაშენებრისა m, მაშენებარისა MQ, მშენებარისა კეკ., ყაუხჩ. 8 მასვე კეკ., ონ.] – MQ, მანვე m, ყაუხჩ. ნებავეს MQ, ონ.] უწყის m, ყაუხჩ., ჰნებავეს კეკ. დაბადება MQm, ყაუხჩ., ონ.] ბადება კეკ. შენებრისა ონ.] შნებისა Q, ბუნებისა Mm, ყაუხჩ., შენებარისა კეკ. 9 იპყრა m, კეკ., ყაუხჩ.] იპყრნა MQ. შარავანდედი V, კეკ., ყაუხჩ.] შარავანდედნი m, შარევანდედნი MQ. 10 გურგუნთა m. აღიჭურნა V, ყაუხჩ.] აღჭურნა MQm, კეკ. მუსვრად m, მუსრავად კეკ. მოწყუედად Mm. 11 მოჰმედიანთა Q] მომადიანთა M, მამადიანთა m, ყაუხჩ., მაჰმადიანთა კეკ. 12 მიმფენელმან m. იმერთა და ამერთა V, კეკ., Q] იმიერთა და ამიერთა Mm, ყაუხჩ. 13 და²] – m. გარეთ m, გარეშეთა V, კეკ., ყაუხჩ. განმართებად კეკ. 14 კალზევანსა კეკ., ყაუხჩ. წარმოსტყუენა Q, წარმოატყუენა m. წოდებულის კეკ. შაჰერმანისა m, შაჰარმენისა კეკ. 16 ამისა Q. მიჰმართა კეკ., Q. 17 სახელგანთქმულად კეკ. და MQm] დვინად ბრ., ჯავ, კეკ., ყაუხჩ. ზღური m. ადარბედაჯანისა QV] ადარბერ-დაჯანისა M, ადრბედაჯანისა m, ადარბადგანისა D, კეკ., ყაუხჩ. 18 გრიგოლი m. პართელისათა Qm.

* „ამის შემდეგ m-ში სამი გვერდის მანძილზე (გვ. 398-400) ბასილი ეზოს მოძღვრის ტექსტია. იქვე შენიშვნაა არშიაზე წითლით: «ორი ქართლის ცხოვრება მქონდა. ამ ერთში თამარ მეფის ანბავი სხვა რიგად ეწერა, ამჟღერის სხვა რიგად. ორივე დავწერე. ამ რვეულმა იმიტომ გამოცვალა სიტყუა, ორ...» (ყაუხჩ).

¹ II მეფ. 7,12.

ისტორიანი და აზმანი შარავანდეღანი

Q119v მდგომელმან წყობად და განმზადებულმან თვთ წინამსრბოლობით იკმია კუეთება, რომელნი
M303v მოაწყუდიგნა ქალაქსა გარეთ. კუალად შემზახებელმან სპათა მისთამან გამოილო და
წარმოტყუენა ქალაქი, რომლისა სიმრავლემან ტყუეთა და საუნჯეთამან დაფარა პირი ველთა და
მთათა, ვინათგანცა აღივსო სამეფო ქალაქი ტფილისი, რომელ ტყუესა თვთო | დრამად გინა
ფუკად მომსყიდელნი გამომსყიდელობდეს. შემდგომად ამისსა მნადირებელი და მომნადირებელი 5
მთათა და ბართა მოვილიდა, ვითარ იონათან მშულდკაპარჭოსანი, ვითარ ჩუბინ, უცდენელა
მსროლელი, მყის სისრამყოფი მტერთა და მკეცთა ზედა, და არტემისა სახედ, რომელი
ითქმის «მთაფოლო», რომელ არს ღმერთი მონადირე.

კუალადცა ინება შეყრად და გალაშქრებად და მიმართა დიდად ქალაქად ანისად, რომელი
ძუელ ოდესმე ბერძენთა მეფეთა სახლი და საჯდომი იყო, რომელსა შინა მოდღესამდე არს 10
ათას და ერთი ეკლესია. და მირიდებთა ბერძენთათა და მიმოცვალებითა ჟამთათა
დიდადგუარიანთა ვიეთმე შადადიანთა, გამგეთა დადგმულთა ამას ზედა, მყის მიმკლომმან, სამ
m201v დღე ყო ომთა სიმრავლე და ძგერა ჰუნეთა. სიტყვთ და საქმით ბოლოდ | დასტენხეს,
ვითარცა აკანაფიანმან, ამფხურელმან და მეხისტეხისმყოფელმან შორის ელვებსა, გარდახუწასა
შინა შადადიანისა კელთ-იგდო ქალაქი ნებისაებრ თვსისა და არა დამბრუნებელმან და 15
შემატყუებელმან დაიმჭირა სადგომად. ტახტისა მისისა შესანახავად და გასამაგრებლად
დამგდებელმან ივანე ორბელისა, მანდატურთუხუცესისა და ამირსპასალარისა, თანაშემწეობითა
სარგის მკარგრძელისათა და სხუათა თემისა დიდებულთა აზნაურთათა უურველქმნილმან
M304r მოჰმართა თვსთავე სანადიროთა, სათამაშოთა და გასახარებელთა.

1 განმზადებულმან M. იკუთა კეკ., ყაუხჩ. 2 შემზახებელმან კეკ., ყაუხჩ.] შემხებელმან MQm. 3 წარმოატყუენა m.
დაფარა პირი კეკ. პირი ველთა Q, ყაუხჩ.] პირველთა Mm. 4 მთათა Q, ყაუხჩ.] მათთანა Mm, მთათანი კეკ.
ვინადგანცა M, ვინადცა მათგან კეკ. სამეფო კეკ. ტყუესა თვთო (თითო Q) ყაუხჩ., Q] თვთო ტყუესა Mm, კეკ.
5 მომსყიდელნი კარტ.] მომსყიდელი Q, მომსყიდავთ Mm, მსყიდველნი კეკ., მომსყიდავთაგან ყაუხჩ. გამომსყიდელობ-
დეს MQm] გამომსყიდელობდეს, მომსყიდელობდეს კეკ., მომსყიდელობდეს ყაუხჩ.* ამისსა კიკვ] ამისა Q, ამისად Mm,
კეკ., ყაუხჩ. მანდირებელი Q. 6 მთათა თყ., კეკ., ყაუხჩ., Q] მათთანა Mm, ბართა M. მოვილიდა თყ., ყაუხჩ., Q]
მოვილიდა Mm, მოჰვილიდა კეკ. იუნათნ Q. მშულდ კაპარჭოსანი Q. უცდენელად კეკ. 7 მასროლელი m. და კეკ.,
ყაუხჩ.] – MQm. და არტემისა თყ., კეკ., ყაუხჩ.] და რტემისა MQm. 8 ვთაფოლო Q. 9 კუალადცა M. მიჰმართა კეკ.
ქალაქად ანისად თყ., კეკ., ყაუხჩ., Q] ქალაქ დანისად Mm. 10 ძუელოდეს Q. სახელი Q. მოდღესამდე კეკ. არს
თყ., კეკ., ყაუხჩ.] არას MQm. 11 ათას და თყ., კეკ., ყაუხჩ.] ათასად MQm. მორიდებთა ჯავ ბერძენთათა V, ყაუხჩ.]
ბერძენთასა MQm, ბერძენთაჲსა კეკ. მიმოცვალებითა V, კეკ., ყაუხჩ., Q] მიმოვლებითა Mm. 12 დიდ-გუარიანთა ჯავ.
ვიეთმე შადადიანთა ჯავ, კეკ., ყაუხჩ.] ვიეთმე ბადადიანთა Mm, ვიეთმება დადიანთა Q. გამგეთა ჯავ, ყაუხჩ.] გემთა
MQm, გამგედ კეკ. დადგმულთა ჯავ, კეკ., ყაუხჩ. (დადგმულთა ჯავ.)] და გუმულთა MQm. 13 გასტენხეს კეკ.
14 აკანთისა კეკ. შორის ელვათა მეხის-ტეხის მყოფელმან კეკ. 15 შანშე დადიანისა (დადიანის m) MQm.
16 შემატყუებელმან კიკვ] შემტყობელმან MQm, ყაუხჩ., შემტყობელმან კეკ. იმჭირა m. დაიმჭირა სადგომად. ტახტისა
მისისა შესანახავად და გასამაგრებლად დამგდებელმან კიკვ] დაიმჭირა სადგომად ტახტისა მისისა შესანახავად და
გასამაგრებლად მისდა დამგდებელმან კეკ., დაიმჭირა სადგომად, ტახტისა მისისა შესანახავად და გასამაგრებლად.
დამგდებელმან ყაუხჩ. 17 ორბელი MQm. მანდატურთა (მანდატურთ m) უხუცესი MQm. ამირა სპასალარისა MQm,
ამირ-სპასალარისამან კეკ. 18 სარგის] ამირ m. მკარგრძელისათა m. დიდებულთა V, კეკ., ყაუხჩ.] დიდებულ MQm.
უურველქმნილმან კეკ.] ურვაქმნილმან m, ურვაქმნილმან ყაუხჩ., ურავ ქმნილმან MQ, მოურავ მქნელმან ჯავ.

* შდრ. ყაუხჩ-ის შენიშვნა: „მომსყიდავთაგან მსყიდელობდეს ჩვ. კონიექტ. (← მომსყიდავთა განმსყიდებლობდეს)“.

ისტორიანი და აზმანი შარავანდეღანი

რომლისა ჯავრისაგან აღიძრა ნაველფიცხელობა და ქედმაღლობა აგარიანთა და ისმაიტელთა. და შაჰრიარმან, სულტანად მწოდებელი თავისა, მწუეველ იქმნა ყოვლისა შამისა, ჯაზირისა და დიარბაგისა თურქთა თანა გარდმანისათა: არდოხის ძე, რომელი პაპისა მისისაგან დიდგუართა კუზის ძე იყო, რომლისა მამამან, ლაშქრობათა შინა სპამრებლად სახელგანთქმულმან, გამოჩენილი ივანე აბულეთის ძე ლტოლვილ ყო, | სალდუხ სალჩუკიანი, რომელი სულტანთა გუარსტომობდა სრულიად, მრავალთა დიდთა იმპერიათა და ფადაშაჰთა სპარსეთისათა თანა, მსგავსად მკეცთასა აღმლესველი კბილთა, დიდითა და მიუწდომელითა, უჰამრავითა ძალითა და ლაშქრითა მოვიდა და მოადგა ანისსა, ყოველთა დღეთა კართა ზედა მბრძოლი, მახვერებელი და მამვერებელი ცხენთა და აბჯართა.

ხოლო ცნა ესე მეფემან მეფეთამან ნაჭარმაგევს, სახლსა სათამაშოსა შინა, კაცმან მამადმან და ზესგამოდებელმან წყობათა შინა. იქმნა დასნი და დასნი და ზედადამრთველმან ერთმანერთთა ზენა-ქუენათა, ვითარ ყოველთა ხილულთა ზესთაობასა წინააღმდეგომ ექმნა ჩრდილოსა და აღმოსავალსა. და ვითარ ითქმის, «გმირი სრბად გზასა, შეირტყა და წარემართა და სუფევდა», არღა დამხედველი მცირეთა | და ყოვლადვე არღა მომლოდინე ექმნა სახელგანთქმულთა ჭაბუკთა ლიხთიმერითა და ვიეთთამე ამერთაცა. მინდობილი წყალობათა ყოვლადშემძლისათა, ვითარ იტყვს ისტორია ისქანდარ მაკიდოვნელისა, ზადა ძალსა ძალთასა, რომელი მეუფებს ცასა ცათასა და არა თუალავს სიმრავლესა გარემომდგომთა მტერთასა, არცა განმლეობასა მტერთა მახვლთა ელვისასა, გარდამავალი მათთა შთავიდა

m202r
M304v

1 ჯავრისაგან m. აღ[ი]ძრა ჯავ, გაუხნ.] აღძრა MQm. ნავლუელ ფიცხელობა Mm. 2 შაჰრიარმან Q] შარიარმან Mm, გაუხნ., შაჰიერ[მან] ჯავ, შაჰარმანი კეკ. სულტანად MQm. მწოდებელი კეკ.] წოდებულმან MQm, მწოდებელმან V, გაუხნ., კიკ. მწუეველ ჯავ, კეკ.] მწუწლ Q, მცველ Mm, მაწვეველ V, გაუხნ. 3 შამისა, კეკ., გაუხნ., Q] ბამისა Mm. ჯაზირისა V, კეკ., გაუხნ.] ჯაზარასა MQ, ჯაზარსა m. დიარბაგისა ჯავ, კეკ., გაუხნ., Q] დარბაგისა Mm. გარმანისათა ჯავ, კეკ. არდოხის MQm. 4 დიდგორთა MQm, დიდგუარიანის კეკ. კუზის MQm, გაუხნ.] ორტოკის კეკ. ძე თყ, კეკ., გაუხნ.] რე MQm. იყო კეკ., გაუხნ.] – MQm. სპამრებლად კიკ.] სპამრავლად m, სპამრავლად გაუხნ., სპამარელად MQ, სპა-მარებლად კეკ. 5 სახელ განთქმულად Q, სახელგანთქმულმან კეკ. ლტოლვილ კეკ., გაუხნ., Q] ლტოლველ Mm. სალდუხ კეკ., გაუხნ., Q] სალდუხა Mm. სელჩუკიანი კეკ. 6 გუარსა ტომობდა ჯავ. იმპერიათა კიკ.] ამპარიათა MQm, მეპატრონეთა ჯავ, კეკ., გაუხნ. ფადაშაჰთა ჯავ, კეკ., გაუხნ.] ფათაშაჰთა MQm. 7 მკეცისა კეკ. აღმლესველი კეკ., გაუხნ.] აღმლესელმან Mm, აღმლვესელმან Q. კბილთამან MQm. დიდითა კეკ., გაუხნ., Q] დიდთა Mm. მიუწდელთამან Q, მიუწდომელითა და კეკ. 8 უჰამრავითა V, კეკ., გაუხნ.] აჰა ქმარვითა MQm. ძალითა] ხალხითა ჯავ. ძალითა და უჰამრავითა ლაშქრითა გაუხნ. 9 მბრძოლისა კეკ. მახვერებელი Q] მამქერებელი Mm, კეკ., გაუხნ. მბრძოლი, მახვერებელი კიკ.] მბრძოლისა მამქერებელი კეკ., მბრძოლი მამქერებელი გაუხნ. 10 მეფეთამან] + გიორგი V, გაუხნ. ნაჭარმაგევს Q] ნაჭარმაგევსა Mm, კეკ., გაუხნ. 11 მამადმან MQ, გაუხნ.] მამადმან m, მქნემან და გულოვანმან კეკ. ზეს (ზესა MQ) გამომდებელმან MQm, გაუხნ.] ზემთა შემმართებელმან V, კეკ. ზედა დამრთველმან MQ, ზედა დამართველმან m, ზედადამართველმან გაუხნ., ზედადამრთველი კეკ. 12 ერთმანერთ-მან Mm, ერთმან Q. ზეთაობასა m. 13 ჩრდილოთა MQm. გზასა ზედა კეკ. 14 არღა (არღა[რა] ჯავ.) დამხედველი თყ, ჯავ, კეკ., გაუხნ.] არია და მხედველი Mm, – Q. მცირეთა MQm, გაუხნ.] სიმცირესა სპათასა კეკ. ყოვლადვე კეკ., გაუხნ.] ყოვლისა MQm. მომლოდინე ჯავ, გაუხნ.] მომლოდ MQm, მომლოდნე V, კეკ. 15 ლიხთ-იმერთა კეკ., გაუხნ. ვიეთთამე ჯავ, კეკ., გაუხნ.] ვიეთმე MQm. ამერთაცა კეკ.] ამერთაცა მომლოდინე გაუხნ. 16 ყოვლადშემძლი-სათა კეკ.] შემძლისა MQm, გაუხნ. ისტორი MQ, ისტორი m. ისქანდარ Mm., გაუხნ.] სიქანდარ Q, ისქანდერ კეკ. მაკიდონელისა Q. ზადა კიკ.] და ზადა MQm, გაუხნ., კადა კეკ. 17 არა თუალავს კიკ.] თუალავს MQm, გაუხნ., სთუალავს კეკ. 18 არცა განმლეობასა MQm] არა განმლტოლვი კეკ. მტერთა კეკ.] მტერთასა MQm, გაუხნ. ელვისასა კარტ.] ელვისა MQm, გაუხნ., კიკ., ელვისაგან კეკ. გარდამველი კეკ.

ისტორიანი და აზმანი შარავანდეღანი

შირაკად. რომელსა თანავაზირობდეს იოვანე მწიგნობართუხუცესი და სუმბატ სუმიონქმნილი, რომელი სხუათა საჭურთა თანა საქმითაცა აღჭურვილ იყო და მით მშლელ მისღვისა სიმცროსათუს სპათსა. არა დამორჩილდა მკნე მკნეთა და გოლიათი გოლიათთა, ჭეშმარიტად მიმღები მოწამეთა ღუაწლთა და გურგუნისა: მან თუ ერთი ვეშაპი, ამან კულა ბევრნი ბევრთა სახენი ასპიტთა და იქედნეთანი სძლივნა უძლეველმან მკედარმან, სეხნამან გიორგისმან, მართობთაცა შინა გონებისათა მიმართ. მხილველმან სარკინოზთა სპაებისამან, გარდასლვითა მლოცველმან და მავედრებელმან, თუალთა ზეცად აღმპყრობელმან აღისაჭურვლა მიმცემელმან იოვანეს ძელისა ცხორებისა მიძღუანვად. და ამკედრდეს გულითა განჭურვებულთა და ურთიერთს განამკნობდეს და შვილნი ცხორებისანი სიკუდილსა არა რიდებდეს თავსა.

M305r
Q120v

| ხოლო | მეფემან, მტკიცედ აზენებულმან ჰუნესა ზედა, კმითა მით ხოსროვანითა გასცა ღალადი და სწავლა გულსა მკედართასა, ვითარმედ: „კურთხეულნი ძმანო, ერთსულნი და ერთრჯულნი! უწყით, თუ რაზომ დიდად კეთილ არს საღმრთოთა სჯულთა და ქრისტეს სახიერებისათუს სიკუდილი, რომელსა სამარადისოდ ვნატრით ქრისტეს კუალთა შემდგომთა და მომკუდართა მათ თვთ ბუნებითა მკუდართა სხეულთაგან. და ზედავთა, თუ რაოდენ უფრო სასახელო არს მკნებრივ სიკუდილი, | ვიდრელა სენითა განდნობითა განლეულებასა შინა? რამეთუ სახე და სახელი კეთილისა საუკუნოდ გზა-გუყვების. რამეთუ გუასმიეს ძუელთა მომთხრობელთაგან, თუ რაოდენნი კუეთებანი თავს-ისხნეს საღმრთოთა სჯულთათუს ტომმან ებრაელთამან, არტაქსერქსის ზე – ელენთა, ოდეს-იგი იძღუანებოდეს თემისტოკლეოს მიერ,

m202v

1 მწიგნობართა უხუცესი Q. სვიმონ-ქმნილი *ყაუხჩ.* 2 საჭურველთა *კეკ.* დამშლელ *კეკ.* მისღვისათუს M *ყაუხჩ.*, მისვლისათუს m, მისულისათ Q. 4 პირველმოწამისა *კეკ.* გურგუნისა *კეკ.* გურგუნსა MQm, გურგუნსა, თვთ სეხნაობითაცა მიმსგავსებული გიორგი V, *ყაუხჩ.* 5 სძლივა m. სეხნამან *კეკ.* სეხნა Mm, – *ყაუხჩ.* გიორგისამან *კეკ.* გინა MQm, – *ყაუხჩ.* 6 მართლობათაცა *კეკ.* მიმართ m, *ყაუხჩ.* მიმართ MQ, მიჰმართ *კეკ.* გონებისათა მიმართ. მხილველმან *ყაუხჩ.* გონებისათა. მიჰმართა მხილველმან *კეკ.* სპიებისამან MQm. გარდასლითა Q, გარდასვლითა m. 7 მვედრებელმან *კეკ.* თუალითა Mm, თულითა Q. აღისაჭურვლა *კიკე.* აღსაჭურველს m, აღსაჭურველს MQ, *ყაუხჩ.*, საჭურველთა მიმხუმელმან და *კეკ.* 8 იოვანეს MQm] იოვანესდა *კეკ.*, *ყაუხჩ.* ძელსა MQm. ცხორებისასა Q, ცხოვრებისა *ყაუხჩ.* წინაწარძღუანვად *კეკ.* გამმხურვებულთა M, გ[~]მმხუღ[~]ლითა Q, გამმხურვებულთა m. 9 განამკნობდეს V, *კეკ.*, *ყაუხჩ.*] – MQm. ცხორებისა MQm, ცხოვრებისანი *ყაუხჩ.* სიკუდილსა V, *კეკ.*, *ყაუხჩ.*] სიკუდილი MQm. რიდებდეს *ყაუხჩ.*] რიდეს Mm, რიდეს Q, პრიდებდეს V, *კეკ.* თავისა MQm. 10 აზენებულმან] აზენებ[~]ლმ[~]ნ Q, აზენებელმან M, აზენებელმან m, აზვევებულმან *ყაუხჩ.*, ამკედრებულმან *კეკ.*, აღმკედრებულმან V. ჰონესა MQm. კმითა V, *თყ.*, *კეკ.*, *ყაუხჩ.*] კელითა MQm. ხოსროვანითა Q. 11 სწავლა Q. მკედართასა *ყაუხჩ.*] მკეცებრ მკეცთასა MQm, მკედართა, მკეცებრ განძენებულთასა *კეკ.* კურთხეულნი კარტ.] კ[~]ხნო Q, კაცნო Mm, *კეკ.*, *ყაუხჩ.* 12 ერთსულნი *კეკ.* უწყით *კეკ.*] – MQm, *ყაუხჩ.* კითილ *ყაუხჩ.* სამღთოთა m. 13 ს[~]ხრბისა თ[~]ს Q, სახარებისათუს *ყაუხჩ.* რომელნი *კეკ.*, *ყაუხჩ.*, რომელთა *კიკე.* სამარადისოდ MQm. ვჰნატრით *კეკ.* კუალთა V, *კეკ.*, *ყაუხჩ.*] კ[~]ლთა Q, კეთილთა Mm. შემდგომთა] – Q. 14 მათ თვთ] მის თუს *კეკ.* ბუნებითა მკუდართა სხეულთაგან MQm, *ყაუხჩ.*] მოკუდავითა სხეულითა *კეკ.* და²] – *კეკ.* ზედავთა *კეკ.*, *ყაუხჩ.*] ზედვითა MQm. 15 სასხელო Q. ვიდრე Q. სენითა *კეკ.*, *ყაუხჩ.*] სენთა MQm. 16 კეთილი *კეკ.* გზა-გუყვების] გზა (გზად Q) გყუების M, გყუების m, გზად გუყვების *კეკ.*, გუყუების *ყაუხჩ.* გუასმია Q. 17 რაოდენი Mm, *კეკ.*, არა ოდენი Q. 18 არტარ ქსერქსის MQm. ელენეთა Mm. ებრაელთამან, არტაქსერქსის ზე – ელენთა, ოდეს-იგი კარტ.] ებრაელთამან არტარქსერქსის ზე, ელენთა – ოდეს-იგი (ოდეს იგი *კეკ.*) *კეკ.*, *ყაუხჩ.*, *კიკე.* იძღუანებდეს Mm, იძღუნებდეს Q. თემისტოკლეოს *ყაუხჩ.*] თოკლეოს MQm, თემისტოკლეს *კეკ.*

ისტორიანი და აზმანი შარავანდეღანი

უცთომელისა სპასპეტიისაგან, და სოფლისა მქონებელსა სძლეს არტაქსერქსის, რომელმან ზღუაცა მტკიცე ყო უომრად სპათოვს, ხოლო ათინელთა ერთისა ოდენ ქალაქისაგან უკუნრდუეულ იქმნა. აწ ფროთოვანო ლომო ჩემო, ჩუენთვს განლახურელისათვს აღვიხუნეთ ლახუარნი და ჰოროლნი და უგმირნეთ ურწმუნოთა ღმრთაებისა მისისათა!“

M305v და წარმომთქმელმან უკანასკნელთა ლოცვათამან მოუწოდა ამირახორსა | მისსა სუმბატის 5 ძესა ლიპარიტს, ბექას სურამელსა, ქირქიშს აბულეთის ძესა და სამ ათასთა მათთანათა, მბრძანებელმან, მუნცა ღიმილითა და სიცილითა მლაღობელმან: „მოყმენო, იგიმცა ვსჯობთ, რომელმანცა უმსწრაფლეს უხეთქნეთ დროშის მქონესა და დაცემითა მისითა დავსცეთ ბანაკი, ნავალინი მასმიეს და კიდარისა შთამოთესულთა“.

ესრეთ სასოებით მოქადულმან განვლნა რაზმნი და სუმპერაზმანი, განწონნა კინენი 10 მსგავსად აფროდისისა, მქონისა წყობისა მამტკიცებელისასა. და ვითარ იხილეს დროშა, დაცემული მკლავითა აქილიანითა, და მახული იქცევისი მკუეთრ მკუეთელად, იკმიეს სივლტოლა ძალისაებრ ჰუნეთასა, რომელსა შინა აღესრულა სიტყუა წარქცევად ერთისაგან ათასისა. ამირსპასალართა, დიდებულთა და ლაშქართა, ამათ აქათ და მათ მუნით ადინეს ღუარი სისხლისა. და თვთ Q121r მეფე ალექსანდრეს სვთა და სიოშის მოყმობითა სდევდა მრავალგზის გამომცვლელი რემათა, 15 m203r სცემდა და იცემებოდა, სრვიდა და ისროლებოდა, და ბუმბერაზნი | მისნი თანაშემწეობდეს,

1 უცთომელსა MQm. და კარტ.] – MQm, კეკ., ყაუხჩ. სოფლის-მქონებელისა კეკ. სძლეს კარტ.] მძლესა MQ, მძლესა m, ყაუხჩ., კიკვ, მძლისა კეკ. არტაქსერქსის კარტ.] არტრა ქსერქსის MQm, ქსერქსის ზე კეკ., არტარქსერქსის ზედა ყაუხჩ., კიკვ. 2 ზღუაცა კეკ., ყაუხჩ.] ზღუაც MQm. მტკიცე-ყო კეკ., ყაუხჩ.] მტკიცე MQm. სპათოვს კეკ.] სპაებთოვს MQm, ყაუხჩ. ათინელთა კეკ., ყაუხჩ., Q] ათანელთა Mm. 3 უკუნრდუეულ კეკ. ფროთოვანო კეკ., ყაუხჩ., Q] ფროთოვანო Mm. ჩუენთვს V, კეკ.] ჩემთვს MQm, ყაუხჩ. განლახურელისათვს კარტ.] გ~ნლხურ~ლისათა Q, განლხურელისათა Mm, განლახურელისათვს კეკ., კიკვ, განლახურელისა ყაუხჩ. 4 ორალნი MQ, ორალი m. ოროლნი ყაუხჩ. ვუგმირნეთ კეკ. ღ~თბისა Q, ღმრთეებისა კეკ., ღვთაებისა ყაუხჩ. 5 წ~რმომთქმელმ~ნ Q, წარმომთქმელმან Mm., კეკ., ყაუხჩ. უკუნანასკნელთა კეკ. ამირახორსა m. 6 ბექსა სურამელსა M, ბეკ ს~სურამელსა Q, ბექასა სურამელსა (სურამელს კეკ.) m, კეკ., ყაუხჩ. სამ ათასთა მათთანათა კარტ.] სამათასთათა MQm, სამ ათასთა თანა ყაუხჩ., კიკვ. სპათა მისთა კეკ. 7 ბრძანებელმან m. ღიმილით Q. და] – MQm. სიცილით Q. მლაღობელმან V, ყაუხჩ.] მოლემან MQm, მოლაღემან კეკ. მომენო Q. იგიმცა კარტ.] იგიცა MQm, კეკ., ყაუხჩ. ვჯობთ Mm, კეკ., ყაუხჩ. 8 უმსწრაფლეს კარტ.] უმსწრაფეს MQm, ყაუხჩ., უსწრაფეს კეკ. უხეთქნეთ კეკ. მქონესა Q. დროშის-მქონესა კეკ. 9 ნაველისი M, ნაველისა Q, ნველისი m. მასმიეს MQm, ყაუხჩ.] მონს კეკ. კიდარისა კეკ.] კედრისა MQm, ყაუხჩ. შთამოთესულთა Q] შთამოსელთა M, სამოსელ-თა m, შთამოსულთა კეკ., ყაუხჩ. 10 რაზმი m. სუნპერაზმ~ნი Q, სუმპერაზმნი კეკ. განაწონნა m, კეკ., ყაუხჩ. კინენი V, კეკ., ყაუხჩ.] კინელნი Q, კენელნი Mm. 11 აფროდისისა ყაუხჩ.] ფროდისისა Mm, ფროდისისა Q, ფრიდონისა კეკ. მქონისა კეკ.] მქონესა MQm, ყაუხჩ. წყობათა კეკ.] წყობითა MQm, წყობისა ყაუხჩ. მამტკიცე-ბელისასა Mm, ყაუხჩ.] მ~მტკიცებლის~სა Q, სიმტკიცისათა კეკ. დროშა Q. 12 აქილიანთა MQm. და მახული კეკ.] – MQm, ყაუხჩ., კიკვ. იქცევისი m. მკუეთრ m. სივლტოლა Q, სივლტოლვა m. 13 ჰონეთასა MQm, ჰნეთასა m. აღვასრულით MQm. წარქცევისათვს კეკ. ათასისა] – MQm, ყაუხჩ. ამირსპასალართა კეკ.] ამიერ სპასალარნი Mm, ამირ სპასალარი Q, ამირსპასალარნი ყაუხჩ. 14 დიდებულთა კეკ.] დიდებულნი MQm, ყაუხჩ. ლაშქართა კეკ.] ლაშქარნი MQm, ყაუხჩ. ამით m. სისხლის ღვარი m. 15 მეფეს m. სვთა კეკ., ყაუხჩ.] სუეთა MQm. სიოშის MQm. გამომცვლელი Q. რემათა კარტ.] არამთა Mm, არმთა Q, რაზმთა V, კეკ., ყაუხჩ. 16 დაისროლებდა M, დაისროლებ და Q, ისროლებოდა m, ისრეებოდა კეკ., მოისრეებოდა კიკვ. ბუმბერაზნი კეკ., ყაუხჩ.] ბუმბერაზნი MQ, ბუნბერაზნი m.

ისტორიანი და აზმანი შარავანდეღანი

მხედველნი, ვითარცა ერნი ისრაელისანი, და მზეცა, ისუ-ნავეთებრ, მდეგი,¹ ველარა მპყრობელი ეტლთა განგებითა მსრბოლობისათა, შთაეწურა დევნასა შინა მათსა.

M306r და კუალად შემქცეველთა იხილეს სიმრავლე სრულისა და მოსრულისა კელმწიფეთა და დიდებულთა აზნაურთა, ღულამთა და მონათა, სიმრავლე კარავთა და სარაფარდათა, სიმდიდრე თუალთა და მარგალიტთა, ოქროთა ჭედილთა და უჭედელთა, აქლემთა, ცხენთა და ჯორთა და ყოველთა განძთა და სოფლისა სიმდიდრეთა და მონაგებთა, აღსარიცხად გარდარეულთა. ცოცხალთა უამართა თანა იხილეს ოთხთა მკუდართა მიერ აპყრობა კელისა, რომელი რქუა ათასისა და ათასთა ესრესახედ მგებარეთადა ქმნა, რომელთა იწყეს შეკრება ორმოთა ზედა.

იხილნა მეფემან კოსტანტინე საყუარელნი და საკუთარნი ვაზირნი, სპასალარნი, კელისუფალნი და თავადნი, დიდებულნი და აზნაურნი, მონანი და მოყმენი. და შეხადეს მას ყოველმან ერმან და ერთსულ ჰრქუეს შემოსილსა კელმწიფესა დაკოდილთა და ნაცემთაგანთაცა: „მშულობა შენდა“. რადცამცა სახედ დაისახოდა, თუ ვითარ მზიარულნი და მმადლობელნი ღმრთისანი და ღმრთისაგან მის სახედ ჩენილისა პატრონისანი იშუებდეს ფრიად, მპოვნელნი მამა ძისა და ძე მამისა, ძმა ძმისა და თვისი ნათესავისა, პატრონი ყმისა და ყმა პატრონისა. გამარჯუებულნი და აღვსილნი ყოვლითურთ სიხარულითა ილიმოდეს, ამბორს-უყოფდეს ურთიერთას.

და ამას ესევითარსა განსაცხრომელსა და სახარულევანსა მეფობასა შინა თვთ მეფე მისით სპითურთ გარდამავალი თაყუნისმცემელ ექმნა ზენასა განგებასა. არა მკლავთა სიმტკიცესა, არცა მსხვლბარკალთა | მამაკაცისათა, არამედ მას ზენასა ხუედრსა და ზეშთა წმიდასა განგებასა უგალობდა, დამხედ სიმდაბლითა დავარდა წინაშე უფლისა, ღმრთისა საბოთისა

m203v
M306v

1 ვითარცა კეკ., გაუხჩ.] – MQm. და] რომელ კეკ. ისუ-ნავეთებრ კეკ., გაუხჩ.] ისოიანთებრ MQm, ისუ-ნავეთებრ კიკვ. მედგი m. ვერლარა კეკ. 2 ეტლითა MQm. მსრბოლობისა MQm. შთაეწურა V, კეკ., გაუხჩ.] შთაეწურა MQm. 3 შემოქცეულთა კეკ. სრულისა MQm] სრვილისა კეკ., გაუხჩ. და²] bis Q. მოსრულისა MQm] მოსრვილისა კეკ., გაუხჩ. 4 ღულამთა კარტ.] ჰლმთა Q, ლომთა Mm, გაუხჩ., კიკვ., ყმათა ჯავ., მოყმეთა კეკ. დიდებულთა აზნაურთა, ღულამთა და მონათა კარტ.] დიდებულთა, აზნაურთა, მოყმეთა და მონათა კეკ., დიდებულთა, აზნაურთა ლომთა და მონათა გაუხჩ., დიდებულთა აზნაურთა ლომთა და მონათა კიკვ. 5 ჯორთა V, კეკ., გაუხჩ.] მონათა MQm. 6 სიმდიდრეთა სოფლისათა კეკ., სიმდიდრეთა სოფლისა სიმდიდრეთა MQm. და³] – MQm, კიკვ. გარდარეული MQm, გაუხჩ. 7 ცეცხლითა MQm. უამართა კიკვ.] უამარებსა M, უამრ~ბსა Q, უარმებსა m, უჰამრავთა კეკ., უამრავთა გაუხჩ. რომელი გაუხჩ.] რომლისა ქმნა კეკ. ჰრქუეს კეკ. 8 ესრე სახედ. გაუხჩ. ქმნა] – კეკ. რომელთა კეკ., რათა MQm, გაუხჩ. ორმოთა კეკ., გაუხჩ.] ომთა MQm. 9 «კოსტანტინე» კეკ. ვეზირნი Mm, გაუხჩ. 10 და²] – კეკ. შეხედნეს M, შეკადეს კეკ. 11 ერთსულ კიკვ.] ერთსა MQm, ესრეთ კეკ., გაუხჩ. ჰქუას Mm, ჰქუეს გაუხჩ. შემოსრულსა კეკ. ნაცემთაგანთაცა კიკვ.] ნაცემთაგანთაცა MQm, ნაცემთაცა კეკ., გაუხჩ. მშულობა შენდა კიკვ.] შვიდბინსა Mm, მშუიღბინსა Q, მშულობა კეკ., გაუხჩ. 12 რადცამცა სახედ დაისახოდა გაუხჩ.] რათამცა (რაცამცა m) სახე დაისახოდ (დაისახოდა Q) MQm, რომლითა სახითა დაისახოს კეკ. მმადლობელნი V, კეკ., გაუხჩ.] მომადლებულნი MQm., კიკვ. 13 ჭენილისა MQ. ფრიად Mm, კეკ., გაუხჩ.] ვითარ VQ. მპოვნელნი ჯავ., კეკ., გაუხჩ.] მპოვნელი MQm. 14 ძმისა კეკ., გაუხჩ.] ძისა Mm. 15 ყოვლითურთ სიხარულითა V, გაუხჩ.] ყოველთა ჰუნეთა (ჰონთა Q) სიმრავლითა MQm, ყოვლითა, ჰუნეთა სიმრავლითა კეკ. ილიმოდეს V, გაუხჩ., Q] დამ ოდეს Mm, ლალობდეს კეკ. 16 და ამას] – კეკ. და² კეკ., გაუხჩ.] – Mm. სახარულევანსა კეკ., გაუხჩ.] სიხარულევანსა Mm, სიხარულონსა Q. 17 გარდამავალი კეკ. მკლავთა V, კეკ.] სჯულთა Mm. გაუხჩ. 18 მსხვლბარკალთა V, კეკ., გაუხჩ., Q] მსხვილ ბარკალ Mm. წმინდასა m. 19 განგებსა კეკ., გაუხჩ.] განგებისათა Mm, განგებისათა Q. დამხედ V, გაუხჩ.] და მზედ MQm, და მას ზედა კეკ. საბოთისა V, კეკ.] საბოთისთა Mm, გაუხჩ., კიკვ. საბოთისათ Q.

¹ ისუ 6. 10,12-13.

ისტორიანი და აზმანი შარავანდეღანი

ძალთსა და ცრემლთა მიერ გულსავსედ და სულდართულ დაჯდა განსუენებად და აღებად ბევრისა ბევრეულთაგან ნიჭთა მცირედ-მცირედისა.

Q121v და ეგრეცა აღვსილმან საჭურავთა და საჭურჭლეთა მიერ, აღმსხმელმან კელმწიფეთა და დიდებულთამან, აზნაურთა და მონათამან, სამ დღე დამყოფელმან კართა ანისისთა და მაურვებელმან ქალაქისამან და მას შინა დამყენებელმან ამირისამან და ლაშქართა ამყრელმან პირითა მხიარულითა წარმოავლინა მახარობელი წინაშე ფილასოფოსთა და პატრიარქისა, რომლისა ლოცვა თანამწედ ჰქონდა. და თუთ ნათლითა პირითა პირველად მივიდა გამზრდელისა მისისა, წინაშე თამარსა დედოფალსა დედოფალთსა, რომელმან დაილტო პირი ცრემლითა სიხარულითა გარდარეულითა, და კუალად შეეყარა ცოლსა თუსსა ურცხუნელითა და აზონითა სახითა.

ამას ესევითარსა მისსა მორჭმულობასა და გაზეებასა და აღმატებულებასა რომელმან აღვლნა ყოვლითურთ საზღვარნი პაპთა და მამათანი, და გაესმა ამოწყუედა შამისა და ჯაზირისა, სომხითისა და არზრუმისა ლაშქართა, კელმწიფეთა და დიდებულთა. მიესმა სულტანსა ხუარანისა და ერაყისასა და ხალიფასა, მპყრობელსა დიდისა ბაბილონისასა და ცრუსჯულისმდებელსა სარკინოზობისასა, და ვარაზგ ათაბაგსა სპარსეთისასა. და მაწუევართა

1 სძლთსა Q. გულსავსედ და Q, კიკვ.] – Mm, კეკ., ყაუხჩ. სულდართულ Mm, ყაუხჩ.] სღა დართლ Q, სულ-დართული კეკ. 2 ბევრეულთაგან კეკ., ყაუხჩ.] ბევრეულთასა MQm. მცირედ-მცირედისა კეკ.] მცირედ ცირედისა Q, მცირედ მცირედისათა Mm, ყაუხჩ. 3 ეგრეცა Q. ავსილმან Q. აღმსუემელმან კეკ. 4 დიდებულთა კეკ. აზნაურთა და მონათამან კეკ.] აზნაურთამან მარადის Mm, აზნთა მწმდის Q, + მარადის ყაუხჩ., კიკვ. 5 მიურვებელმან Mm, მურვებლმნ Q. ქალაქისამან კეკ., ყაუხჩ.] ქალაქისა MQm. დამყენებელმან ამირისამან კეკ., ყაუხჩ.] დამყენებელისა ამირისა Mm, დამყენებელისა ამირისა Q. ლაშქართამან Q. 5-6 ამყრელმან პირითა ყაუხჩ.] ამყრელმან. პირითა კეკ. 6 მახარობელი Q. ფილასოფოსთა Q, ფილოსოფოსთა ყაუხჩ. პატრიარქისა კეკ., კიკვ. 8 დედოფალთსა Mm, ყაუხჩ.] დაფლთს Q, დედოფლისა კეკ. მისისა, წინაშე თამარსა დედოფალსა დედოფალთსა კარტ.] მისისა წინაშე, თამარსა დედოფალსა დედოფალთსა ყაუხჩ., მისისა წინაშე, თამარ, დედოფალთა დედოფლისა კეკ. დაილტო პირი ცრემლითა კარტ.] დაივლტო (Q და ვლტო) პირველად ცრემლითა და მერმე MQm, ყაუხჩ., კიკვ. დაივლტო პირი ცრემლითა, და მერმე კეკ. 9 და¹] – კეკ. შეეყარა კეკ., ყაუხჩ.] შეეყარა M, შეყრა Q, შეყარა m. ცოლსა თუსსა კეკ., ყაუხჩ., Q] ცოლისა თუსისა Mm. ურცხუნელითა MQ] ურცხუნელითა m, + პირითა კეკ., ყაუხჩ., კიკვ. აზონითა კეკ., კიკვ. 11 მორჭმულობასა კეკ., ყაუხჩ.] მორჭმულობსა Q, მორჭმულებისა Mm. გაზეებასა კეკ., ყაუხჩ.] გზეებისა MQm. აღმატებულებისა MQm. 12 აღვლნა კეკ., ყაუხჩ.] აღვლინა Q, აღავლინა Mm. რომელმან აღვლნა ყაუხჩ.] აღვლნა მან კეკ. საზუარნი M. პაპთა Q] პაპათა Mm, კეკ., ყაუხჩ. გაესმა m] გესმა M, გესმა Q, განესმა ჯავ, გაისმა კეკ., განისმა V, ყაუხჩ. ამოწყუედა კიკვ.] ამოწყუესდა Q, ამოწყუედა Mm, კეკ., ყაუხჩ. შამისა კეკ., ყაუხჩ.] ბამსა Q, შამასა Mm, შამსა კიკვ. 13 ჯაზირისა კეკ., ყაუხჩ.] ჯაზირასა MQ, ჯაზირისა m, ჯაზირისა კიკვ. სომხითისა კეკ., ყაუხჩ.] სომხითის MQm, კიკვ. არზრუმისა ყაუხჩ.] არზრუმის MQ, რაზუმერის m, აზრუმისა V, კეკ., არზრუმს კიკვ. მიესმა V, ჯავ, კეკ., ყაუხჩ., Q] მესმა Mm. სულტანსა კეკ., ყაუხჩ., Q] სულტანისა Mm. 14 ხუარანისა Mm, ხრანისა Q, ხუარანისასა ყაუხჩ. ერაყისასა კეკ., ყაუხჩ.] ერაყისა MQm. და² ყაუხჩ., Q] – Mm, კეკ. ხალიფასა კეკ.] ხალიფი MQm, ხალიფას ყაუხჩ. დიდისა კეკ., ყაუხჩ.] დიდისა Q, დიდსა Mm. ბაბილონისასა m, კეკ., ყაუხჩ.] ბაბილონისასა M, ბაბილონისასა Q. 15 ცრუსჯულისმდებელსა კარტ.] ცრუსჯულის მდებელსა კეკ., ცრუსჯულისა მდებელსა ყაუხჩ. სარკინოზობისასა კეკ., ყაუხჩ., Q] სარკინოზობისასა M, სარკინოზობისასა m. ვარაზგ V, ყაუხჩ.] ვარგაზ Mm, ვარგზ Q, ელდგუზ ჯავ, ელდიგუზ კეკ. ათაბაგსა კეკ., ყაუხჩ., Q] ათაბაგისა Mm. მაწუევართა კიკვ.] მწუევართა Q, მწუევართა Mm, კეკ., ყაუხჩ.

ისტორიანი და აზმანი შარავანდეღანი

M307r | და შემკრებელთა ისლემობისათა მოიქსენეს და ძებნეს ცეცხლითა განლეულნი ძუალნი
ზოროასტროსისნი, რომელი იყო პირველი მეფე და ვარსკულავთმრიცხუელი სპარსთა
m204r შორის, რომელთათჳს ითქუა ესრეთ: „ვიდრემდის გაქუნდეს | ესე, არა მოაკლდეს
მეფობა სპარსთა“. და შეიყარნეს რანს და მომართეს ქუემოკერძოსა ქუეყანასა სომხითისასა
და მოადგეს ციხესა გაგისასა, აიღეს იგი და მოაოკრნეს ყოველნი საზღვარნი. 5

ცნა ესე სახელგანთქმულმან, უძლეველმან მკედარმან და უებრომან ჭაბუკმან გიორგი
მეფემან და მსწრაფლ შემყრელმან შუდთავე მისთა სამეფოთა, იმერთა და ამერთამან,
გამოასხნა ოვსნი და ქუეყანანი დიდძალნი და მომართა სულტანსა, მყოფსა აურაცხელითა
და უამრავითა ლაშქრითა. რამეთუ იყვნეს აქათცა სიკეთე და სიდიდე დაუსრულებელი, და
მომართეს და გავიდეს ადგილთა მათ ლაშქართასა. 10

და ვითარცა ცნეს ესე სულტანმან, ათაბაგმან და ყოველთა ფალავანთა და დიდებულთა
მათთა, თქუეს, ვითარმედ: „არა არს კაცი დღეს პირისპირ შემბმელი გიორგისი და მისთა
ლაშქართა ქუეყანათა ზედა, მივრიდოთ, თავი დავიფაროთ!“ დამყრელთა ყოვლისა სანოვავისათა
Q122r და უფროსლა გაგს შინა მყოფთა ლაშქართამან | განვლეს წყალი ელეკეცისა, რომელსა შინა
მსწრაფლმსროლობამან და ჯარმან შეაყენნეს. და ეწივნეს მწუერვალნი ლაშქართანი და
დაუწყეს ჩამოყრა. 15

M307v ესე ვინათგან ცნა | კელმწიფემან და სუეგანდიდებულმან, მკლავმან აქილიანმან და
გულმან მალნინტონამან, მიეტევა სახედ მკეცისა. გარნა უქმ იქმნავე ესევითარი ძლევად

1 ისლემობისათა კეკ., ყაუხჩ. ისლემობისათა MQm. მოიქსენეს კეკ.] მოქსენეს Q, მოასხენეს Mm, მოაკსენეს
ყაუხჩ. ძალნი MQm. 2 ზოროასტროსისნი Mm, ზოროასტროსისნი Q, ზოროასტროსისანი კეკ. პირველ MQm.
ვარსკულავთა მრიცხუელი M, კეკ. 3 რომელთათჳს ითქუა ესრეთ ყაუხჩ.] ძალთა თუისთა ესრეთ MQm,
რომელთათჳს ითქულ არს ესრეთ კეკ. 4 რანს კეკ., ყაუხჩ.] ერანს MQm, ჯავ. ქუემოთ კერძოსა m, ქუემო
კერძოსა ყაუხჩ. 5 გაგისასა ჯავ., ყაუხჩ.] გაგასა MQm, გაგს კეკ. აიღიღეს კეკ., Q. ყოველნი ყნ m.
6 სახელგანთქმულმან კეკ. და უძლეველმან ყაუხჩ. 7 ამერთამან] + და MQm, ყაუხჩ. 8 ჰოვსნი Q. 9 უამრავითა
ყაუხჩ.] უმრავლითა MQm, უამრავითა კეკ. აქათცა Q] აქათცა V, აქეთცა M, კეკ., ყაუხჩ., აქეთცა m. სიდიდე QV]
სისრულე Mm, ყაუხჩ. სიდიდე დაუსრულებელი] სისრულე-დაუსრულებელი კეკ. 10 მომართეს კეკ. ადგილთა
მათ ლაშქართასა ყაუხჩ.] მათ ლაშქართასა MQm, ასპარეზსა ლაშქართასა კეკ., მთასა ბუბაქართასა V. 11 ვითარ
QV. ცნეს კარტ.] ცნა MQm, კეკ., ყაუხჩ. ესე] – m. ათაბაგმან m. ფალავნთა Q. 12 კაცი] – Q. დღე Q. შემბმელი
კაცი Q. 13 ქუეყანასა ყაუხჩ. დავიფაროთ] დვიფროთ Q, და ვიფაროთ Mm, და ვეფაროთ ჯავ., კეკ., ყაუხჩ.
მივრიდოთ, თავი დავიფაროთ კარტ.] მივრიდოთ თავი და ვეფაროთ ჯავ., კეკ., ყაუხჩ. სანოვავისათა კეკ.]
სანოვავისათა Mm, სათნოვ გისთა Q, სანოვავისათა ყაუხჩ. 14 უფროსლა კეკ., ყაუხჩ.] უფროს ღა Q, უფროს
ღთნ Mm. გაგს კეკ.] გის MQm, გაგის ყაუხჩ. ლაშქართამან Q*V] – Mm, კეკ., ყაუხჩ. განვლეს კეკ., ყაუხჩ.,
Q] განვლენ Mm. წყალნი m. ელეკეცისა კეკ.] ელეკეცისა Q, ელია კაცისა Mm, ეკლეცისა V, ყაუხჩ.
15 მსწრაფლმსროლობამან კეკ., ყაუხჩ.] მსწრაფლ მსროლობამან (მსროლობობლმან m) Mm, მსწრაფ მსრო-
ლელმან Q. ჯარმან MV] ჯრმნ Q, ჯუარმან m, ჯრამან კეკ., ყაუხჩ. შეაყენნეს კარტ.] – MQm, შეაყენა ისინი
კეკ., ყაუხჩ. და ეწივნეს მწუერვალნი ლაშქართანი] დაწივნეს ლაშქართა კიკ. და ეწივნეს კეკ., ყაუხჩ.] – MQm,
+ მათ კეკ. და კეკ.] – MQm, ყაუხჩ. 17 ვინადგან M. სუეგანდიდებულმან კეკ., ყაუხჩ.] სუე განმდებელმან Mm,
სუ გმდებელმნ Q. აქლიმან MQm. 18 მალნინტონამან კეკ., ყაუხჩ.] მალნინტონამან Q, მალნ ტონამან M, მალნ
ტანმან m. მიუტივა ჯავ. იქმნავე ყაუხჩ.] იქმნა MQm, -იქმნა კეკ. ესე ვითარ MQm.

* Q-ში წერია: „ლშქრთამნ; მნ კუსტოლია“, რომელიც მომდევნო გვერდის დასაწყისში გამოტოვებულია.

ისტორიანი და აზმანი შარავანდეღანი

განმზადებულება. ანტაკრა ექმნეს ვიეთნიმე დიდებულთაგანი ვიდრე სადევეთაცა დაჭიდებადმდე, ხოლო უფროსდა ვარდან კოლონკელის ძე, რომელსა მას ჟამსა ერისთობაცა ეპყრა ჰერეთს, კაცი დღითა მომწვსებული და ბრძოლათა შინა ძლიერი და გამოცდილი. ნუუკუე შურმან და მტერობამან ყო ერთიერთისამან, რამეთუ კეთილისა და სრულისა ნაქმრისა დარღვევა ორთა ვნებათა მიერ: ანუ მოკლებისაგან ძალისა, ანუ შურისა. ხოლო ურჩეულეს ყოველთა ძალთა და ყოველთა ზესთა ძეს ღმერთი, ვითარ მბადი ყოველთა ძალთა და მოქმედებათა. და არავინ | ეკუთენეს მის მიერ ურჩეულესად დაბადებულსა მოკლებად ოდესმე ძალისა, რამეთუ მიზეზთა მიერ ზესთა ძალთასა აღევო და კუალად თუ შურისა მიერ დასდევ იგი დასარღუეოდ, ვითარ ეგოს ურჩეულესი ყოველთა თვისსა ზემქონეობასა და ბუნებით კეთილობასა შორის? რამეთუ უცხო არს კეთილისაგან შური, ვითარ სახენიცა ცხად-ჰყოფენ. და არამიმშუებელთა რქუეს მეტყუელთა ამისთა: „ვინათგან გაქცეულა სულტანი ყოვლითა სპითა მისითა, ნუღარა აღზუავებულ მკადრებლობ ღმრთისა“. ესრეთ მიზეზი უმიზეზო, სიტყუა უსიტყუე, საქმე უქმი, გარნა ვინათგან მეფე ცნობითა ბრძენი და მომსმენი იყო, დამორჩილებული კუალად-ევო, გამყრელი ლაშქართა, თვისსავე შუებასა, სიხარულსა და ნადირობასა.

შემდგომად ამისსა სულტანი და ათაბაგი ყოვლითა ძალითა მათითა და სპითა მათითა აღვიდეს გელაქუნად. მომტყუებელი ძალისა მოვიდა და მოადგა კართა ანისისათა და ზემოთ შაჰარმენი და ყოველი კელმწიფე არაბეთისა. მას ჟამსა შინა ანისსა განამტკიცებდა თორელი,

1 სადევეთაცა MQ] სადევეთაცა m, სადავეთაცა ვაუხჩ., სადავეთა კეკ. დაჭიდებადმდე V(p) ვაუხჩ.] – Mm, დაჭედებადმდის Q, დაჭერადმდე კეკ. 2 ხოლო] – კეკ. ერისთობაცა MQ] ერისთობაცა m, კეკ., ვაუხჩ. ჰერეთს M, კეკ., ვაუხჩ.] ჰერეთს Q, – m. 3 დღითა V, კეკ., ვაუხჩ.] და ღმრთითა (ღთითა m) MQm. მომწვსებული კეკ., ვაუხჩ.] მომწუისებ~ლი Q, მომწუისებელი Mm. ბრძოლთა Q. 4 ერთიერთისამან V, ვაუხჩ.] ერთარსისმ~ნ Q, ერთარსისამან Mm, ურთიერთისამან კეკ. ნაქმრისა კეკ., ვაუხჩ., Q] ნაქმრისა Mm. 5 მიერ] + იქმნების კეკ. ურჩეულეს კეკ., ვაუხჩ., Q] ურჩელს Mm. 6 ძეს ვაუხჩ.] ძესა Q, ზესა Mm. ზესთა ძეს] უზესთაესთა არს კეკ. ღმერთი კეკ., ვაუხჩ.] – MQm. მბადი კეკ., ვაუხჩ.] მ~ბად Q, მბადი Mm. 7 ურჩელესად M. დაბადებულისა m. მოკლება MQm. 8 აღევო და კიკვ.] და აღევო MQm, აღევო იგი კეკ., ვაუხჩ. დასდვა კეკ. 9 დასარღუევად კეკ. ყოველთა თვისსა კარტ.] ყოველთათვის MQm, ყოველთა თვის ვაუხჩ., კიკვ., ყოველთა კეკ. ზემქონეობასა კიკვ.] ზე მქონეობასა Q, ზემო მქონეობასა Mm, ვაუხჩ., ზემომქონეობასა კეკ. 10 ვითარ სახენიცა Mm, ვაუხჩ.] ვითარსა ხენიცა Q, ვითარ სხუანიცა კეკ. ცხად-ჰყოფენ ვაუხჩ.] ცხად ჰყოფენ Mm, კეკ., ცხად ყოფენ Q. 11 არამიმშუებელთა MQm] არა (არღარა V) მიუშუეს V, კეკ., ვაუხჩ. რქუეს კარტ.] და MQm, – კეკ., ვაუხჩ. 12 აღზუავებულ ვაუხჩ.] აღზავებულ Mm, აღზავებ~ლ Q, აღზუავებულა კეკ. მკადრებლობ V, ვაუხჩ.] მკუიდრობა Mm, ჰმკ~დრბა Q, სამკვდრებელი კეკ. ღმრთისა Mm, ვაუხჩ.] ღ~ე Q, ღმრთისა კეკ., + მიმართ კიკვ. ესრეთ MQm, ვაუხჩ.] არამედ იყო V, ესრეთ იყო კიკვ., ესე არს კეკ. 13 სიტყუაო M. უსიტყუე MQm, ვაუხჩ.] უსიტყუელ V, კიკვ., უსიტყუო კეკ. გარნა] – კეკ. 17 აღვიდა MQm. მომატყუებელი m. მომტყუებელი ძალისა] – ჯავ. კართა] + თვისთა MQm. ანისისასა MQm. ზემოთ] + მოკსენებული ჯავ. 18 შაჰარმენი ჯავ., კეკ., ვაუხჩ.] შაერამან MQm. და ზემოთ შაჰარმენი და] შაჰარმენი და ზემოთ კეკ. არაბეთისა კეკ., ვაუხჩ.] არაბეთითგან Qm, არაბელიდგან M, არაბეთითგან მომტყუებელ (იქმნა) ძალისა ჯავ. ანასსა MQ. განამტკიცებდა V, კეკ., ვაუხჩ.] განკიცხა Mm, გ~ნიცხა Q.

ისტორიანი და აზმანი შარავანდეღიანი

დიდი და სახელგანთქმული მოლაშქრე, და განმზადნა საბრძოლელნი და მანქანანი მრლუეველმან და მარბიელმან და ამოკრებელმან გარეთთა ქუეყანათამან.

Q122v ესე ამბავი ვითარ მოისმა ქუეყანასა ამას და მიიწია წინაშე მეფისა, რომელი მცირედითა
ლაშქრითა მონადირე და მხიარული დგა შორის | მათა ღორისა და დმანისისათა, რომელსა
წინაშე მოსრულ იყოცა მოციქული სულტნისა, კაცი მოგუ და ტრელი, მეცნიერი საქმისა, 5
ამხილველი და გამომხილველი ლაშქართა დგომისა. ვითარ ითქმის ინდოთა აღწერილსა
„ქილილა-დამანასა“ შინა იგავი ბუთა და ყუავთა, ეგრეთვე ამან, სახედ ყუავისა გამომცდელმან
ლაშქართამან, მოისხნა ფრთენი და აფრინდა და მივიდა წინაშე სულტნისა და ათბავისა და
m205r მეტყუელმან ესრეთ თქუა: „აჰა, ჟამი კუალადგებისა ჩუენისა. უკუეთუ | აწ არა მიხუდეთ,
სხუა ჟამი ველარა ჰპოვოთ!“ 10

M308v ვინათგან იხილა მცირედითა მდგომი, და განლაღებულნი ამას ზედა ძალითა
შემმართებელითა მკლავმაგრისა, სუემადღებულისა მეფისა, წამრთველნი ღამისანი, ჟამსა
განთიადისასა მძინარეთა ზედა დამსხმელ ექმნეს ესრეთ, რომელ ძლით იკუმა სწრობა
შეჭურვისა და ამკედრებისა. ამას ზედა ივანე ამირსპასალარმან და სხუათა დიდებულთა
კნინდა და შეპყრობისა სახედ წარმოიყვანეს და გამომართეს მეტყუელთა ამისთა: „ნუ,
მეფეო! ოდესმე აღექსანდრეოსცა იძლივა დედაკაცისა მიერ და ეგრეთვე სამბსონ – დალილასაგან
და სოლომონ – სიბილასაგან“. და სხუანი სახენი კელმწიფეთა ძლეულებისანი წინაუყენეს. 15
„ნუუკუე რათამე განვირისხეთ ზემეპყრი შარავანდეღობისა შენისა და საწუთოდ იმამებრივა
მამამან ძისა სწორად აღზეებულსა ძესა დავითიანსა ზედა. ვინათგან იგი საულისაგან

1 სახელგანთქმული კეკ. განმზადნა V] განმზადნა M, გწზდა Q, განამზადნა m, განამზადნა კეკ., გაუხჩ. საბრძოლელნი Q] საბრძოლველნი Mm, კეკ., გაუხჩ. და³) – ჯავ, კეკ. მანქანანი კეკ., გაუხჩ.] მანქანიანი MQ, მონაქნიანი m. მარლუეველმან m, დამრლუეველმან ჯავ, გაუხჩ. 2 გარეთათა M, გარეთათა Q, გარეშემოთა V, ჯავ, კეკ. 3 ამბავი ვითარ] ~ Q. ვითარ] – კეკ. მიწია Q. 4 დგა Q. მათა m. დმანისისათა ჯავ, კეკ., გაუხჩ.] დმანისთა MQm. რომლისა კეკ. 5 სწლტნისა Q, სულტნისა კეკ. მოგუ MQm. ტრელი V, კეკ., გაუხჩ.] ტრიალი MQm. 6 ჰქთქმის M, ჰთქმის Qm. ჰინდოთა კეკ. 7 ქლალდიმს M, ქლალდიმს Q, ქლალდილმს m. ყუავთა კეკ., გაუხჩ.] ყოველთა MQm. ეგრეთვე MQm. 8 ათბავისა Q. 9 თქა Q. მიხუდეთ Q, მიჰხუდეთ კეკ. 10 ვერლარა კეკ. 11 იხილეს კეკ. მცირედითა] + ძალითა კეკ. ამას ზედა ძალითა] – კეკ. 12 შემმართებელითა Mm, შემმართებელი კეკ. მკლავ მაგრობისა Q, მკლავ-მაგარი კეკ. სწუე მადღებისა Mm, სუემადღებისა Q, სუემადღებულისა კეკ. მეფე კეკ., მწფებისა Q. წამრთველნი კარტ.] წამრთველმან M, წამმართველმან m, წამრთველმან Q, წამრთველნი კეკ., წამმართველმან გაუხჩ., წამრთველმან კიკ. ღამისანი კეკ. 13 გწნთიადისა Q. დამსხმელ Q. რომელ] რწლა Q, + მეფემან კეკ. ძლით კეკ.] ძლით Mm, ძლითა Q, ძლითა გაუხჩ. იკუმა Q. სწრობა Q. 14 ამკედრებისა კეკ., გაუხჩ.] მკედრებისა MQm, + ჰუნესა ზედა V, კეკ. ამას ზედა] – კეკ. 15 მეტყუელთა] – Q. მისთა Q. ნუ MQm] – კეკ., ნუ უკუე ბრ., გაუხჩ. 16 მეფეო] მეფე MQm, მეფე კეკ., მეფე, ჟამი არს ომისა და ჟამი არს სივლტოლისა, ვინათგან ყოველსავე საქმესა ჟამი მიაჩანს. რამეთუ გაუხჩ. ოდესმე Mm, ოდეს მენ Q. აღექსანდრეცა V, კეკ., გაუხჩ. იდია Q. 16-17 დალილასა და სოლომონ კეკ., გაუხჩ.] – MQm. 17 სიბილასაგან M, სიბილასაგან Q, სიბილასაგან m. და²)] – MQm. წინაუყენეს DER] – MQm, წინაუყენეს V, კეკ., გაუხჩ. 18 ნუ უკუე MQm, გაუხჩ., ნუ უკუეთუ კეკ. რათამე m. განვირისხეთ M, გწვრისხეთ Q. შარავანდეღობისა MQm. საწუთოდ MQm, გაუხჩ., საწუთოდ კეკ. იმამებრივა Q. აღზეებულსა კარტ.] აღზეებულსა Q, აღზეებულსა Mm, აღზეებულსა კეკ., გაუხჩ. იგიცა V, კეკ., იგიცა დავით ჰურიათა მეფე ჯავ. საულისაგან V, კეკ., გაუხჩ.] სულისაგან MQm.

ისტორიანი და აზმანი შარავანდეღანი

იდევნებოდა, მეფე და წინასწარმეტყუელი, უფროსლა მამად ძისა ღმრთისა განჩინებული. აწ ჩუენცა, თავსმდებელთა, ვიკმიოთ სივლტოლა და კუალად შემძლემან ძლევათამან ჩუეულებითავე მოგუაგოს უძლევლობა“.

იძულებითა წარმოყვანილი და გამოძარტებული მრავალგზის იგი და მისნი მოყმენი რაზმსავე შინა იპოვნეს, გარეუკუნმქცევლნი და დამკოცვლნი სპათა მისთანი, რომელთა 5
ესევითარი სიმქნე – უცხო და განსაკრთომელი საქმე! არა დიდებული, არა აზნაური, არა ვარგი და საცნაური აზნაურის ყმაცა დაკლებულ იქმნა მათ ლაშქართა შინა, თუნიერ
ერთისა ჯუარისმტურთველისა და ერთისა ბედითის კაცის აზნაურის კიდე, გარნა ჯუარი წარმოყვანებულ იქმნა მშუდობით.

ში, განსაკრთომელი სიმქნე და სიქველე და კელი საუფლო! ვითარ რომელთა წყობათა 10
შინა სმენილ არს, გინა ძუელთა,* გინა ახალთა. ესრეთ უვნებლობა უგრძნულად | დამსხმელობასა შინა! შემდგომად ამისად და ვინაცა იხილეს ისლემთა განფრთხობილი კელთა მათთაგან, მეტყუელთა ესრე განიზრახეს: „ვინათგან უგრძნულად დამსხმელთა ვერ კელთ-ვიგდეთ, აწ 15
გრძნობილისა დევნა არს აჩრდილთა დევნა და წიაღთა ჰყრობა ქართა. აწ უკუნვიქცეთ, რომელი მოგუცა ღმერთმან, ამისნი მმადლობელნი!“

ხოლო ესე ესრესახედ იპყრა ყოველმან მცნობელმან და წარმკითხველმან ამისმან: „საზღვარი დასდევ და არა გარდაკდეს“.¹ და ვითარ მზე, დიდი ბასილი, მნათი კესარიისა

1 წინასწარმეტყუელნი MQm. ძისით Mm, ძის თ Q, ძისად ჯავ. ღ თისად ჯავ. 2 ვიკუმიოთ კეკ., ყაუხჩ. შემძლემან კეკ., Q] შემძლევამან Mm, შემძლევამან ყაუხჩ. შემძლემან ჯავ. 4 იძულებითა კეკ., Q] იძლიებითა Mm, და ესრეთ იძულებითა ყაუხჩ. გამოძარტებული M, გამოძარტებული m. 5 -მქცევლნი კეკ., ყაუხჩ.] მქცეველი MQm. და – m. დამკოცვლნი კეკ. რომლითა Mm. 6 სიმქნითა ესევითარი Q, კიკვ. ესევითარი სიმქნე – უცხო და განსაკრთომელი საქმე! კარტ.] ესევითარ სიმქნე, უცხო და განსაკუთრებული საქმე აჩვენეს, რომელ კეკ., ესევითარი სიმქნე, უცხო და განსაკრთომელი საქმე იხილვა, რამეთუ ყაუხჩ., სიმქნითა ესევითარი უცხო და განსაკრთომელი საქმე იხილვა, რამეთუ კიკვ. 7 დაკლებულ V, კეკ., ყაუხჩ.] დაუკლებელ MQm. 8 ერთს Q. ჯუარისმტურთველისა კეკ., ყაუხჩ.] ჯუარი მტვირთილისა Mm, ჯუარის მტურთველის Q + ქანის ძისა (ძისა || ძეს V) V, ყაუხჩ. 10 წყობათა V, კეკ., ყაუხჩ., Q] წყალობათა Mm. 11 უვნებლობა V, ყაუხჩ.] უვნებლობა (უნებლობი m) და M, უვნებლობა კეკ. უგრძნულად V] უგრძნულად MQm, კეკ., ყაუხჩ. 12 და] – კეკ. ვინცა Mm, კეკ. იხილნეს კეკ. ისლემთაგანნი კეკ. განფრთხობილი კარტ.] განფრკობი M, განმფრკობი m, განბრკობილი კეკ., განმფრხობი ყაუხჩ., განმფრთხობი კიკვ. 13 ვიეთგან Mm. უგრძნულად V] უგრძნულ-ლოდ Mm, კეკ., ყაუხჩ. ვერ ყაუხჩ.] ვითარ Mm, ვერა კეკ. კელ ვიგდეთ M. 14 დევნა] დევნამან Mm. დევნა² – Mm. გრძნობილისა დევნა არს აჩრდილთა დევნა კიკვ.] გრძნობილისა – დევნა არს აჩრდილთა კეკ., გრძნობილისა დევნა – დევნა არს აჩრდილთა ყაუხჩ. წიაღითა ყაუხჩ. 15 ღმერთმან, ამისნი კარტ.] ღმერთმან – ამისნი კეკ., ღმერთმან ამისნი ყაუხჩ., კიკვ. მმადლობელნი Mm, კეკ., ყაუხჩ. (მამადლობელნი m)] + თუისადმდე მმადლობელად (მამადლობელად m) Mm, + თუსადვე მამულად კეკ., ყაუხჩ. 16 იპყრა Mm] იპყარ კეკ., ყაუხჩ. ამისამან კეკ. 17 და¹ Mm, ყაუხჩ.] რომელსა კეკ. მზე] + ჰქონებოდა ბადესა (შადასა კიკვ.) Mm, კიკვ., + ითქუმის «დაბადებისა» კეკ. კესარიისა Mm.

* აქედან აკლია Q-ს.

¹ ფსალმ. 103,9.

ისტორიანი და აზმანი შარავანდეღანი

ბუნებითმეტყუელობასა შინა არსთა ქმნილებისასა, „ექუსთა დღეთასა“, იტყუს, ვითარ: „ჩიტი ალკუნი ბაგესა ზედა ზღვასა დამსხმელ იქმნების კუერცხთა; ოხრანი და ღელვატეხილობანი ზღვსანი ვერ გარდაკდებიან ბრძანებასა ღმრთისასა და მცველ ექმნებიან თესლოვნებასაცა ალკუნისასა“. აწ უკუეთუმცა მიეშუა ზენასა განგებასა და არა წინააღმდეგომ ჰქმნოდა გაქცევასა სულტნისასა, და-მცა-ქცეულ იყვნეს ყოველნი მალნარნი სარკინოზობისანი. 5

M309v

შემდგომად ამისა უბოძა ანისი თვსსავე მემამულესა და ითაყუნა თავისა თვსისა ყმად. და თვთ შემოეხუეწა ელდიგუზ ათაბაგი და ჩამოდგა შუა სულტანსა და ქართველთა და ითხოვა ზავი. აქათ დედოფალი რუსუდან, და მათი, სულტნის ცოლყოფილი, ჩამოდგა და შეიქმნა მშუდობა და ზავი ჟამ რაოდენმე. 10

